წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ხუთშაბათი, 6 აგვისტო 1915 წ. № 63

კლდე

ხელის მოწერა და დახმარება განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 67.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის“ იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

ხარფუხის კლუბი

(საზაფხულო სადგომი მიხეილის ქუჩა № 131)

დღეს, ხუთშაბათს, 6 აგვისტოს 1915 წ.

მომღერალ **ვ. სარაჯიშვილის** მონაწილეობით

გაიმართება ქართულ-რუსული

კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქალბატონი ნემეტი, ნ. ერისთავი და სხვები.

კონცერტზე შესვლა უფასოა. სტუმრები იხდიან, კლუბში შესასვლელს ჩვეულებრივ ფასს.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი

„კაფე პარიზი“

გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საუზმეები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

პირველხარისხოვანი სასადილო „კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

უყვა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

ძ. გორში

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

გადაწერას საწერ მანქანის საშვალებით და საწერ მანქანაზე

მუშაობის სწავლებას

ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. გათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ომის დღიური

მიმოხილვა

რიგისა და კოვნოს შუა გერმანელებს ისევ მოაქვთ იერიშები და ისევ ლამობენ მდინარე დვინამდე ამოსვლას. ოპერაციები ამ რაიონში მჭიდროდ არის დაკავშირებული კოვნოს ბედ-იღბალთან. ამ ციხის აღებაც გერმანელებს ისეთივე ხერხით უნდათ, რა ხერხითაც აიღეს ლიეჟი, ნამიური, მობეჟი და ანტვერპენი, ე. ი. დაჩქარებულის კვეთებით. სისტემა ასეთის ხერხით ციხის აღებისა დაწვრილებით შემუშავებული აქვს გერმანელ გენერალს ზაუერს. ეს სისტემა უარჰყოფს ციხის ალყის შემორტყმას, დიდი ხნის სამზადისს, ფრთხილსა და დინჯ მსვლელობას სიმაგრეებისკენ თხრილებისა და სანაღმო ბრძოლის საშვალებით. იგი მოითხოვს ციხის განსაზღვრულ სიმაგრეთა წინააღმდეგ მეტად ძლიერ არტილერიის მოგროვებას, რამდენიმე დღეში ამ სიმაგრეთა დანგრევას და შემდეგ საერთო კვეთებით ციხის ხელში ჩაგდებას. ასეთი სისტემა მეტად სახიფათოა და უთვალავ მსხვერპლს მოითხოვს, მაგრამ გერმანელები ხიფათსა და მსხვერპლს არ მოერიდნენ და ორ კვირაში ხელთ იგდეს დასავლეთით რამდენიმე ციხე-სიმაგრე.

კოვნოს მოპირდაპირე დიდი ხანია მოადგა, მაგრამ ნამდვილი იერიშები დაიწყო ათიოდე დღის წინათ. რუსის ჯარმა მრავალი მისი იერიში მოიგერია და აუარებელი ზარალი მიაყენა, მაგრამ მოპირდაპირემ მაინც იგდო ხელთ ორი სიმაგრე, ერთი კოვნოს დასავლეთით, მეორე—აღმოსავლეთით. რაკი ფეხის მოსაკიდებელი გაიჩინეს, გერმანელებმა ჯერ უმძლავრეს და უმრავლეს არტილერიით მოამზადეს იერიში, შერე 2 და 3 აგვისტოს კვლავ ეკვეთნენ ციხეს, აიღეს ყუმბარებით დანგრეული ერთი სიმაგრე და სხვა სიმაგრეთა შორის შეიჭრნენ ციხის შუაგულში, სადაც მედგარი ბრძოლა სწარმოებს.

ოსოვეციდან სამხრეთით ვოლდავამდე გერმანელები მიუახლოვდნენ ბელოსტოკსა და ბრესტს დაახლოებით 20—25 ვერსზე. მოპირდაპირე ცდილობს რუსის ჯარს ფეხი არ მოაკიდებინოს, არიოს და პოზიციებზე დალაგებისა და გაშლის უფლება არ მისცეს.

მეტად ცხარე იერიშები მოაქვთ გერმანელებს უფრო ბელსკის მიმართულებით, რომელიც კვანძია მეტად მნიშვნელოვან გზებისა და მდებარეობს ბელოსტოკის სამხრეთით 35 ვერსზე. ბრესტის სამხრეთით გერმანელები ბუგის მარჯვენა ნაპირზე გადმოსულან და აქედან ერთ დროს ემუქრებიან ბრესტსა და კოველს.

ნოვოგეორგიევსკის მიდამოებშიაც მეტად ცხარე ბრძოლა გრძელდება. გერმანელები მის აღებასაც ისწრაფიან, რადგან ეს ციხე, მოწყვეტილი რუსის ჯარის მთავარ ძალებს, ემუქრება გერმანელთა გზებს, ხელს უშლის მოპირდაპირის მოძრაობას და აბანდებს მისი ჯარის დიდ ნაწილს.

ახლოვდება უკანასკნელი აქტი მსოფლიო ისტორიაში უმაგალითო და უდიდესი ბრძოლისა, რომელიც აპრილის ნახევარში დაიწყო დასავლეთ გალიციაში. არ გამართლდა ზოგიერთის აზრი, ვითომ ავსტრო-გერმანელები ბრესტისა და ბელოსტოკის წინ გაჩერდებიან და მთავარ ძალას ისევ საფრანგეთში გადაიყვანენო. როგორც ეტყობა, მოპირდაპირე გაჩერებას არ აპირებს.

მ. ბ—ლი.

დეპეშები

თბილისი, 4 აგვ. კავკასიის მთავარი შტაბის ოფიციალი განცხადება. 2 აგვისტოს ზღვის სანაპირო რაიონებში სროლაა. ოლთისის მიმართულებით რუსები ჩაუსაფრდნენ ოსმალთ და რამოდენიმე ტყვე წამოიყვანეს. ყარადერბენტის სამხრეთით რუსის ჯარებმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ დაიპყრეს სოფ. სეიგმანი და აიდირკი. ვანის რაიონში ოსმალნი უკუქცეულ იქმნენ. ვანი კვლავ რუსის ჯარებმა აიღეს. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

პეტროგრადი, 4 აგვის. ოფიციალი. რიგის რაიონში და იაკობ შტადტზე შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა. 2—3 აგვ. გერმანელები სცდილობდნენ წინ წამოწევას, მაგრამ ვერ მოახერხეს. დვინის მიმართულებით სასტიკი ბრძოლა გრძელდება. გერმანელთა იერიშები მოგერებულ იქმნა. კოვნოსთან ბრძოლამ სამაგალითო სიმკაცრეს ააღწია. 2 და 3 აგვისტოს განმავლობაში გერმანელები ემზადებოდნენ საიერიშოდ. მათ მოიმარჯვეს ყველა კალიბრის ზარბაზნები, თვით 16 დიუმიანებიც კი, რათა ნემანის მარცხენა ნაპირების სიმაგრეები აელოთ. სამ აგვისტოს საღამოს იერიშით აიღეს ძლიერი ცეცხლით დანგრეული ფორტები და დასავლეთ ფრონტის ზოგიერთ ადგილას ცეცხლმფრქვეველი სროლით გამოიჭრნენ. ბრძოლა გრძელდება. ნარევის ზემოდ მარცხენა ნაპირზე 2 აგვისტოს განმავლობაში გერმანელთა იერიშები მოგერებულ იქმნა რუსების მიერ. მათი გეზი ბელოსტოკ-ბელსკისკენ შეჩერებულია. ასევე მარჯვედ შეაჩერეს ნარევისა და ბუგის შუა წამოსული გერმანელები. ბუგზე და რაიანოვთან მხოლოდ შეჯახება ხდება, ხოლო ვლოდავასთან გერმანელები სცდილობენ ფეხი მოიკიდონ და განმტკიცდნენ მდინარის მარჯვენა ნაპირზე. ნოვო-გიორგევსკის რაიონში სასტიკი საარტილერიო ცეცხლია გაჩაღებული. გერმანელებმა აქ მოიხმარეს უუდიდესი კალიბრის ზარბაზნები.

2 და 4 აგვ. ღამით გერმანელებს იერიში მოჰქონდათ უმთავრესად ნარევისა და მდ. ვკრის მარცხენა ნაპირებზე. დანარჩენ ადგილებზე მთელს ფრონტზე შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა.

შავზღვაში რუსის წყალქვეშამ დაჭყლუპა ოსმალთა ქვანახშირით დატვირთული ორთქლმავალი...

ქურნალ-გაზეთებიდან

ბელოსტოვში.

„რუს. სლოვოს“ დეპეშით ატყობინებენ: 30 ივლისს ცეპელინმა ბელოსტოვში 25 ყუმბარა ჩამოაგდეს. აუარებელი ხალხი წაიდის ქალაქიდან. გადაკეტეს სხვა და სხვა დაწესებულებანიც.

ბარონების გაქცევა.

ლატიშების გაზეთები მოგვითხრობენ, რომ ლიფლანდიის გუბერნიის ზოგიერთა ადგილებიდან გარბიან ადგილობრივი ბარონები მთელი თავისი ქონებით. გამოქცეულთა სიტყვით გერმანები რიგაში გარბიან და არა პეტროგრადში. რიგაში მიმავალი მატარებლები გატენილია გერმანებით. აუარებელი რიცხვია ბარონებისა რიგაში თავმოყრილი. ისინი დაურიდებლად აცხადებენ, რომ რიგას არ დასტოვებენ. არც ლატიშებს ურჩევენ გახიზნას. რიგის ქალაქის თავი ფონ-ბულმერინი უკანასკნელ წუთებამდე ნებას არ აძლევდა ეკლესიებიდან ზარების ჩამოხსნისას. მან პროტესტიც კი განუცხადა სამხედრო მთავრობას ზარების ჩამოხსნის თაობაზედ, მაგრამ მისი პროტესტი უყურადღებოდ დასტოვეს. გერმანთა საკრებულო ტაძრის ზარების ჩამოხსნის დროს სამრეკლო დაანგრიეს. ზარები ყველა გაიტანეს რიგიდან.

(ნოვ. ვრ.)

ქ. ოსტროლენკა.

გამოქცეულების სიტყვით, ქ. ოსტროლენკა, რომელიც მწვავე ბრძოლის შემდეგ ჩაიგდეს გერმანელებმა ხელში ყუმბარებისგან მთლად დანგრეული და მიწასთან გასწორებული ყოფილა. მცხოვრებნი გაქცეულნი არიან. (ნოვ. ვრ.)

მეკლენბურგის ჰერცოგი.

„რუს. ვედ.“-ს ცნობით ოსმალთა ჯარის უფროსად დარდანელში სანდერსის ნაცვლად დაუნიშნავთ მეკლენბურგის ჰერცოგი. (კავკ. სლ.)

პოლონეთის სამეფო.

ქრისტიანიიდან იტყობინებიან, რომ გერმანეთში საზოგადოებრივი აზრი მხარს უჭერს პოლონეთის სამეფოს დაარსებასაო. მეფედ დაჰსვავენ ერცჰერცოგს კარლოს სტეფანეს, რომელიც დაიბადა 1860 წელს. იგი ცნობილია პოლონელთა სიმპატიით.

გერმანიის პრესა საზონოვის სიტყვის გამო.

საიმპერიო კანცლერის ოფიციოზი განიხილავენ სათათბიროში წარმოთქმულ საზონოვის სიტყვას და აი, სხვათა შორის, რას ამბობენ: „ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს სიტყვის თამაშად ჩაგდებისა. ჩვენი ძლევა-მოსილი მხედრობა მსოფლიო ისტორიის უუდიდეს საქმეს ასრულებს. ჩვენი სიმართლის დასამტკიცებლად ჩვენს მტერს თავის დროზე მივართმევთ უტყუარ საბუთებს, ან მაშინ შეუძლიანთ იმართლონ თავი მსოფლიო ისტორიის სამსჯავროს წინაშე. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან უპასუხოდ დავსტოვოთ საზონოვის სიტყვის შესავალი. არა გერმანეთის მიერ ომის გამოცხადებამ დაანთო მთელი ევროპის ცეცხლი, არამედ რუსთა ჯარების საზოგადო მობილიზაციამ, რაიც ემუქრებოდა ავსტრო-ჰუნგრეთისა და გერმაიეთის მშვიდობიანობას. ეს კი თავისთავად საუკეთესო საბუთია იმისა, თუ როგორ და რა გვარად სცდილობდნენ რუსები ვითომც და მშვიდობიანობის დასაცველად... გერმანეთი მშვიდად მოელის საზარელ ბრძოლის შედეგს, რაიც დამყარებულია ჩვენს სიმართლესა და ჩვენს მახვილზე“... (ბ.ვ.

ეს ღა გვაკლდა!

მოგეხსენებათ, რომ ჩვენი წმიდა საღოცავი ადგილები პალესტინაში—საფლავი ი. ქრისტესი, გოლგოთა, ჯვარი და სხვები, დავკარგეთ; დავკარგეთ აგრეთვე სინას მთა, ათონი და ის სოფლებიც, რომლებიც მათ გარშემო იყო გაშენებული ქართველთაგან. ეს მილიარდების დანაკლისი არ ვიკმარეთ: შინაც ჩვენს ეუშვებთ დღე დ... დღე მონასტრებსა და საღოცავ საყდრებს

ზოგიერთ მამებს, ამ სარბიელზე მომუშავეებს, თავიც კი მოაქვთ. სიღნაღის ბლაღოჩინი ს. ბეგიევი გაზეთ „ხმა კახეთის“ მე-46-ე ნომერში, ჩამოსთვლის რა 35 წლის თავის მოღვაწეობას, ამბობს: „მე რის გაკეთებაც კი შევიძელი, ან თვით სიღნაღში და ანუ მისის მაზრის სკოლებისა და ეკლესიებასათვის წმ. ნინოს მონასტრითუოთ (ხაზი ჩვენია), ეს კარგად უწყის ზეციერმან.... ყველა ამის მოწამეა ჩემი წრფელი სინდისი და ადგილობრივი ოფიციალური საბუთები ქაღალდები“-ო. დიახ, საბინინის მოხერხებასთან აკავშირებს მ. ბეგიევი თავისთავსაც წმ. ნინოს მონასტრის რუს მოლოზნების ხელში გადაცემის საქმეში და

გვითითებს საბუთების ქაღალდზე...

ეს მამა ბლაღოჩინი თავის სიღნაღის ეკლესიასაც ქართულად არა სთვლის და წირვა-ლოცვას „აპარუსკებს“—რუსული მრევლი მყავსო, თუმცა ერთი მეასედი ძლივს ეყოლება რუსობისა... ეს ეკლესია, თუ ვინიცობაა ქართველ სამღვდელოებას ავტოკეფალია მისცეს—რუსულ ეპარქიაში უნდა მოექცეს (იხ. პროექტი ვოსტორგოელთა). ამიტომ ამ ეკლესიის კრებულს დაუთრევია ხაზინიდან წლიურ ჯამაგირად 800 მანეთი, რაც არც ერთ პროვინციელ სამღვდელოებას სიზმრადაც არ მოელანდება. ამავე ბლაღოჩინმა ბეგიევმა იცის, როცა შეჰკრებს ხოლმე სოფლის მღვდელ-დიაკვნებს, საბლაღოჩინო კრების წინ უსათუოდ რუსულად გადუხდის პარაკლისს!!

ეხლა ქიზიყელთ ერთად-ერთ საღოცავს, ანაგის მთავარ-ანგელოზს, რომელიც შემოსავლიან ეკლესიად ითვლება და თელავის სასულიერო სასწავლებელს წლიურად 800—900 მანეთსაც უგზავნის, უპირებს წმ. ნინოს მონასტერზე მიწერას, ე. ი. რუს-ქალ მოღოზნებისათვის

მიცემას. 17 ივლისს ამ ბლაღოჩინს ბეგიევს ჰქონდა საბლაღოჩინო კრება. კრებაზე გამოირკვა, რომ სინოდალურ კანტორისათვის გაუგზავნია ორიოდ მღვდლის ხელწარწერიანი ბეზღობა—ანაგის მთავარ ანგელოზის ეკლესიის შემოსავალში „ბოროტმოქმედება“ აღმოვაჩინე, ადგილობრივი მღვდელი დ. მ. გაიყვანე იქიდან და ამა და ამ მღვდელს ჩააბარეო. კანტორას პირდაპირ არ გაუგონებია ბლ. ბეგიევის თხოვნა, გამოძიება დაუნიშნია და სხვა მტკიცდება. ელდა ნაცემი ბლაღოჩინი ურჩევდა კრებას—ყველამ ხელი მომიწერეთ, რომ მღ. დ. მ. იქიდან გამოიყვანონ და ჩემი კანდიდატი გაამწესონო. შეგნებულნი მღვდელნი მიხვდნენ, რომ აქ სარჩულად ქვენაგრძობანი ედო მის საქციელს, პროტესტი განუცხადეს და საქმე ჩაუშალეს. ბლაღ. ბეგიევი და მისი ამყოლნი დაიმუქრნენ: **„მაგ შემოსავლიან ეკლესიას წმ. ნინოს მონასტერს გადავცემთო“...**

მთელ კახეთში ორი შემოსავლიანი ეკლესია გვაქვს—ანაგის მთავარ-ანგელოზისა და თუთრი გიორგი, რომლებიც თავიანთ შემოსავლიდან თელავის სასულიერო სასწავლებელს შემწეობას აძლევენ. მოგეხსენებათ, არსებობდა ალავერდის კათედრა და იქ ქართველი ეპისკოპოსი. ერთი ამ ეპისკოპოსთაგანი ჩაგვაცივდა: თეთრი გიორგის შემოსავალი სასწავლებელს გამოაკელით და მე გადმომეცით, რადგან ალავერდის კათედრა ღარიბადაა და საცხოვრებლად არ მყოფნისო. ჩვენც დავუჯერეთ, ჯერ სულ მივეცით თეთრი გიორგი, მაგრამ მალე ნახევარი შემოსავალი ისევ წავართვით ჩივილით და დღესაც ვნანობთ, ნეტავ სულაც წაგვერთმია ალავერდისთვის თეთრი გიორგი და ისევ თელავის სასწავლებელზე ყოფილიყო, რადგან დღეს ეს ფული ერევნის ეპისკოპოსს ინახავს... საჭიროა იქონიოს ქიზიყის სიმღვდელოებამ მეტი სიფხიზლე, რომ მთელი ქიზიყის სალოცავი, ანაგის მთავარ-ანგელოზის საყდარი, მართლა და რაიმე ჩუმი მოხერხებით—მიწერ-მოწერით არ გადასცეს ბლ. ბეგიევმა წმ. ნინოს მონასტერს,

Cardinal.

პროსვიტა და კოოპერაცია

„პროსვიტა“ ჩვენებურად წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ჰნიშნავს. ბევრი გაჰკვირდება—რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს წერა-კითხვის საზოგადოებას კოოპერაციასთანო; განათლებას და წერა-კითხვის გავრცელებას და წმინდა წყლის ეკონომიურ დაწესებულებას—რა აქვთ საერთო და რა ასპარეზზე შეიძლება ერთი მეორეს შეჰხვდესო.

თეატრის მოღვაწეთა შარშანდელ კრებაზე მოიყვანეს ისეთი მაგალითები, რომ ჩხეთში ხალხი დიდად ეხმარება თეატრებს, წარმოდგენებს ესწრებიან, სწირავენ, გინდაც არ დაესწრონ წარმოდგენებსო, და ამით ეროვნულ თეატრის განვითარებას დიდათ ხელს უწყობენო. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთო, უნდა წავბაძოთ ჩეხელებს და წარმოდგენების მართვის საქმეც ასე უნდა გავჩარხოთო.

საზოგადოების ყურადღება მაშინვე მივაქციე იმას, რომ ჩეხელები და სხვანი იმიტომ ეკიდებიან ასე გულმხურვალედ ეროვნულ საქმეებს, რომ კოოპერატივებში არიან მეთქი გამოჯეჭილები და აღზრდილნი; ამას უნდა მიექცეს მეთქი საზოგადოების დიდი ყურადღება და მაშინ დღე მუდამ და ყოველ წლივ აღარ იქნება მოთქმა და ვაება უსახსრობაზე, საზოგადოების უთანაგრძნობელობაზე და სხ. მაგრამ კვლავ ვიხილეთ რეზოლიუციები—მიემართოს თავად-აზნაურობას... მკითხველმა ზეპირად იცის ამგვარი რეზოლიუციები და მათი ფასი. ყველას მზამზარეული უნდა; წვრილმანი, ხანგრძლივი და მედგარი მუშაობა ერის ქონებრივ-გონებრივ აღორძინებისთვის კი არავის ეხერხება.

დიდად ყურადსაღებად აქვს მიტოვებული კოოპერატიული მოძრაობა ჩვენს წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებასაც. ბევრი წევრი ამ საზოგადოებისა იმ აზრისაც კი არის, რომ წ.-კითხვის საზოგადოებას არავითარი ეკონომიური დაწყებულება არ უნდა დაეკისროს, ეს მის ფარგალში არ შედისო, ამას ვერ გაუძღვება, საიმისო თანხები არ მოეძებნებაო. ამგვარი წყალ-წყალა არგუმენტებით და თავის მართლებით ამოქოლილ სამარედ ჰხდიან იდეით ამ ფრიად ცოცხალ და მრავალ შტოებიან საზოგადოებას.

აბა დაუგდოთ ყური, რასა სწერენ გალიცელთა „პროსვიტაზე“. მისი მრავალმხრივი ნაყოფიერი მოქმედება მცხოვრებთა საკეთილდღეოდ გვიჩვენებს გზას და იქითკენ მიჰმართავს ჩვენს აზროვნებას და მოქმედებას, საიდგანაც აღმოცენდება მშობელ ერის ეკონომიური ბედნიერება, რაც ხალხს იარაღს აძლევს ბრძოლისას და ადვილად აღუმართავს თეატრებს, სახალხო სახლებს, ბიბლიოთეკებს, წიგნების და გაზეთების გამომცემლობას და სხვა და სხვა სიკეთეთა. ამგვარი მოქმედებით გაითქვა „პროსვიტამ“ სახელი გალიციაში და მისი წაბაძვა ჩვენც იმ დიდს ნივთიერ და ზნეობრივ-გონებრივ სარგებლობას მოგვიტანს, როგორიც იხილა გალიცელმა დეენილმა და მეტად შეივწროებულმა მოლოროსმა.

აი „პროსვიტის“ მოქმედების მოკლე ისტორია და გაკეთებულ საქმეთა ნუსხა.

გალიციაში „პროსვიტა“ არის დედა ყველა სხვაგვარ უკრაინულ დაწესებულებათა: იგი ჰქმნიდა და უყრიდა საძირკველს ყოველგვარ ახალ დაწყობილებათ, რომელნიც შემდეგ საკუთარ ფეხზე დგებოდნენ, ცალკე ორგანიზმად ვითარდებოდნენ. „გალიციაში კოოპერატიულ მოძრაობასაც იმავე „პროსვიტამ“ აუდგა ფეხიო“, სწერს ვინმე ი. „კოოპერაციის უწყებაში“. აი როგორ შესდგომია საქმისო საქმიანობას „პროსვიტა“:

„პროსვიტის“ ყურადღება სასოფლო-სამეურნეო ნაწილს მიეპყრო 1891 წლიდგან, როდესაც შესაფერისად თავისი წესდებაც შესცვალა. 1896 წ. მასწავლებელი-აგრონომი დაიქირავა; ამ კაცის მოვალეობას შეადგენდა სოფელ-სოფელ სიარული, მეურნეობის შესახებ ლექციების კითხვა, დარიგების და რჩევის მიცემა, საცდელი მინდვრების მოწყობა, საზოგადოებების და კოოპერატივების დაარსებაში შველა და სხვ. ამგვარ მოქმედებიდგან ყურადღებას იპყრობს მერძევეთა ამხანაგობათა დაარსება; ამათგან პირველნი „პროსვიტის“ ფულით და მის მასწავლებელ-აგრონომის მეცადინეობით იყვნენ დაარსებულნი. შემთხვევით არ იყო „პროსვიტის“ ყურადღება მიპყრობილი მერძევეთა ამხანაგობებზე. ამ დროს ევროპის სხვა ქვეყნებში ამგვარ კოოპერატივებს ძალიან მომაგრებული ჰქონდათ ფეხი და თავის სიკეთეთა გამო ყველა ქვეყანაში კოოპერატივთა რიცხვის თითქმის 50 პროც. შეადგენდნენ. ცხადია, ცოცხალს და თავის ერის საჭიროებათა ფხიზელ დარაჯს „პროსვიტას ეს არ გამოეპარებოდა და აკი მალე გადმონერგა მშობელ ერის ცხოვრებაში ამგვარი კოოპერატივები. ჩვენ ფრიად უკეთეს პირობებში ვართ ამგვარ კოოპერატივების დაარსებისათვის, მაგრამ მოთავე არსად სჩანს. აუარებელი მეწველი ძროხა-კამეჩი დადის საჩვენოში და თუ შინ რძეერბოს ხმარებას ყურადღებას არ მივაქცევთ, შეიძლება ვსთქვათ, რომ მცხოვრებნი ტყუილად ეჭმევინებიან აუარებელ საქონელს, შესაძლებელი სარგებლობა მათ არა აქვთ მეწველ საქონლისაგან. აი „პროსვიტასაგან“ ნაჩვენები პირველი ასპარეზი.

1907—9 წლებში ამ საზოგადოებამ განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია საჩვენებელ მინდვრებს, რომელნიც 1894 წ. 425 სოფელთან (გრომადასთან) იყვნენ მოწყობილნი.

ჩვენც გვქონდა მზა-მზარეული მამული სკრაში, მაგრამ დიდი ზარალების მიღების შემდეგ საზოგადოებამ იგი თავიდგან მოიშორა და მესხეთიდგან გადმოსახლებულ კათოლიკეთ მიჰყიდა. შუაგულ საქართველოში მეურნეობისთვის შემკობილი ადგილი, რკინის გზის ახლო მდებარე, ვერ ვაქციეთ სამოთხედ, ვერ ვაქციეთ საჩვენებელ მინდვრად, ვერავითარი შემოსავლის წყარო იქიდგან ვერ ამოვიჩინეთ და გაყიდვას მივაშურეთ. აქაც ვერ მოვიქეციათ ჯეროვნათ: მესხეთიდგან გადმოვასახლეთ ქართველნი, იმ მესხედიდგან, სადაც ლამის ქართველი ტომი ამოიფხვრას და გადამთიელთ დაჰრჩეს ეს ძვირფასი კუთხე ჩვენის სამშობლოსი! იმას კი არ მივაქციეთ ყურადღება, რომ ძნელი საქმე—მესხთა მიწით მოწყობა—ადგილობრივ მოგვეხერხებინა, შევბრძოლებოდით დიდს დაბრკოლებათ და სამშობლოს ძვირფასი კუთხე გაგვემაგრებინა მცხოვრებთა გამრავლებით, არამედ ადვილი გზა ავირჩიეთ—ჩვენი კულტურისთვის მავნებელი, ჩვენი ეროვნების სამოქმედო ფარგლის შემზღვუდელი—ზემოხსენებული ქართველთა გადმოსახლება საქართველოს საუკეთესო სანაპიროდან საქართველოს გულში, სადაც ისედაც სულია გვეხუთება უმიწაწყობით.

მაგრამ რაც იყო იყო. ახალი არა გამეორდეს-რა-ასეთი... საუბედუროდ ამის ნიშნები სჩანს. მოგეხსენებათ, საგურამოს, ილიასეული მამული წ. კ. საზოგადოებას აქვს დღეს ხელთ. ფხიზელი „პროსვიტა“ რომ იყოს ჩვენი წ. კ. საზოგადოება სურიაში დაკარგულ აქ ავინაზღაურებდით და კიდევ ზედმეტს შესძენდა ეს დაწესებულება ქართველ ერს. მევენახეობას, ხვნა-თესვა, მეფუტკრეობა, მერძეობა და მეაბრაშუმეობა მშვენივრად შეიძლება ამ მამულში მოეწყოს თანდათან. ოღონდ მცოდნე ადამიანები და ჩვენი „პროსვიტის“ ფული და თანაგრძნობაა საჭირო. ღმერთმა ნუ გააგონოს საზოგადოებას ილიასეულ მამულს სკრის ბედი ჰხვდეს, თუმცა დასაწყისი და დღევანდელი მისი მდგომარეობა, თითქოს ამას გვიჩურჩულებს. აი მეორე ასპარეზი „პროსვიტისი“.

„პროსვიტამ“ ფართოდ მოაწყო ნახნავისთვის თესლეულობის ყიდვის საქმე, აუარებელ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს დახელოვნებურ სასუქებს ყიდულობდა; ამისათვის გახსნა თავისთან **საშუამავლო განყოფილება,** რამაც გლეხნი იხსნა ექსპლოატაციისაგან და შუამავალ-ჩარჩებისაგან“.

დიდი გომარეთი და სხვა ბორჩალოს მაზრის მახლობელი სოფლები, თურმე ნემენცებისაგან ყიდულობენ ყოველ წლივ თესლს და ამას სთესავენ. რაც გინდა დიდი მოსავალი და კარგი ხორბალი მომივიდესო—მითხრა იქაურმა გლეხმა, თავის დღეში არ დავთეს შინაური პურს; შინაურს გავყიდი, ნემენცებში ვიყიდი და იმას დავთესავო. ყველამ ვიცით, თუ რა გავლენა აქვს თესლს მოსავალზე, მაგრამ განა თავი ვინმე აიტკივა ხალხისთვის ამის მეცნიერულად გამოკვლევა-გაეგებიებინა. პირიქით, არაგვის ხეობაზე ხშირად მსმენია ეს თესლი პაპიდგან მოგვდეს და მისი გადაცვლა არ შეიძლიანო. იქნებ გადაცვლა ისე საჭირო არ იყოს, როგორც თესლის სარჩევი მანქანები, რომელიც ჩვენი სარბიელიდგან სწორედ იმ მარცვალთ გადაარჩევდნენ, რომელთაც საუკეთესოდ ამოსვლა და დიდი მოსავლის მოცემა შეუძლიანთ. მაგრამ ვინ მიიტანს ამ მანქანას!..

სასოფლო-სამეურნეო იარაღების გავრცელებას პოლონელები ასე აწყობდნენ (ალბად იმათაც ევროპიდან ისესხეს ეს ჩვეულება): იძენდნენ საჭირო იარაღებს და ნაწილს თვითონ საზოგადოება ამუშავებდა თავის ტეხნიკებით და აგრანომების ჩვენებით, ნაწილს—უბრალოებს და სადებს აჭირავებდნენ. ამგვარ ოპერაციებით პოლონელებმა სამი კურდღელი მოჰკლეს: გაუჩინეს თავიანთ საზოგადოებებს შემოსავალი, გაავრცელეს ხალხში სამიწადმოქმედო იარაღის ხმარება და გააიაფეს იარაღი.

ცხადია, ხელოვნური სასუქი ჩვენს მამულსაც ესაჭიროება, მაგრამ საამისოდ ჩვენი ქვეყანა გარკვეული არ არის; ამასაც კარგი მეცნიერული კვლევა-ძიება სჭირია. ეს „პროსვიტისგან“ ნაჩვენები მესამე სამოქმედო ასპარეზი.

„მსურველთ, რათა გაუადვილოს სასოფლო-სამეურნეო სწავლის მიღება, „პროსვიტა“ აძლევს სტიპენდიებს აგრონომიის ანუ სხვა რამ სპეციალობის შესასწავლად“. სწავლის მიღების შემდეგ თავის სტიპენდიანტებს, უეჭველია, მთავრობის მოხელეებად არა ჰხდის, როგორც ეს ჩვენშია მიღებული, და მოითხოვს მათგან ხალხისთვის მუშაობას. მაგ. ამ გვარად აღზრდილების საშუალებით საზოგადოებამ დაარსა, მებაღეობის გასაუმჯობესებლად, სამი სანერგე, რომელთაგანაც ყველაზე დიდი მილოვანესთან მდებარეობს.

„პროსვიტას“ არაფერი გამოეპარა ხალხის ცხოვრებიდან. ყველგან სჩანს მისი მზრუნველობა და საზრიანი ხელმძღვანელობა. თხებმა, შინაურმა ფრინველმა და ბაჭიებმაც კი მიიქცია მისი ყურადღება და მათი ჯიბის გასაუმჯობესებლად იგი ყიდულობდა და უფასოდ უგზავნიდა ჯიშიან მამულებს.

„პროსვიტამ“ თავის მშობელ ერში ნახა აუარებელი დაუმუშავებელი მინდორი, შემოიკრიბა დაუყოვნებლივ თავის გარშემო საჭირო ადამიანები და იწყო მისი წყალკოტად ქცევა. მშვენიერ სანახაობით, პატიოსნურ მის მეცადინეობით ბევრი კეთილი ადამიანი აღიძრა სამოქმედოდ და იწყეს მისგან მძიმე ტვირთის მოხდა. 1910 წ. „პროსვიტამ“ შეაჩერა თავის სასოფლო-სამეურნეო მოქმედება, რადგან ამ მიზნით სპეციალი საზოგადოება „სილკი გოსპადარი“ დაარსდა. ჩვენშიც ასევე უნდა მოხდეს.. ტყუილი იმედია კერძო ინიციატივაზე. ვიდრე კერძო ინიციატივა ხალხს გზაზე გამოიყვანს პეტრეს ათასჯერ გააძრობენ ტყავს. უკვე არსებულმა საზოგადოებებმა უნდა ითავონ ხალხში უსაჭიროეს ეკონომიურ ორგანიზაციების მოწყობა. როცა ამ გვარ დაწყობილობას ასაკში მოიყვანენ და პატრონს გაუჩენენ, მაშინ შეუძლიანთ თავის განებება და ახალის დაწყება. აი დიდი გაკვეთილი „პროსვიტას“ მოქმედებიდან გამოტანილი აი რას უნდა მიჰქცეოდა ყურადღება წინეთ და თუ ეს მოხერხდა მაშინ, ეხლა მაინც ამოვიჩრათ ეს გულის ფიცარზე...

ლ. ცაგარელი.

პრესა

კარგა ხანია ისმის, რომ კავკასიის უმაღლესი მმაროველობა საიდუმლოდ ადგენს კავკასიის ერობის პროექტსაო. ამ დღეებში ამ საიდუმლო მუშაობას ოდნავ ფარდა აეხადა. „სახალხო ფურც.“ სწერს ამ პროექტის შესახებ:

ერთმა ადგილობრივმა რუსულმა გაზეთმა ფრიად საყურადღებო ცნობა გამოაქვეყნა. მეფის მოადგილის თანაშემწეს პეტერსონს უთქვამს: კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაცია სასწრაფოდ ადგენს ერობის პროექტს და უკვე შემუშავებულია უმთავრესი მუხლიბი საერობო დებულებისა:

თანახმად ამ პროექტისა ერობა ჩვენში იქნება ორსაფეხურიანი. პირველი საერობო ორგანიზაცია არის საუბნო ერობა, რომლის ფარგალი შეიცავს ეხლანდელი მაზრის საბოქაულო ნაწილს. ასეთი საბოქაულო თითოეულ მაზრაში 3—5-ია. ეს იქნება ეგრედ წოდებული მცირე საერობო ერთეული ამას შემდეგ პროექტი არ გულისხმობს არც სამაზრო და არც საგუბერნიო ერობას და პირდაპირ გადადის მთელი კავკასიის საერობო ორგანიზაციაზე, რომელსაც მხოლოდ სანახევროდ აქვს თვით-მართველობის ხასიათი, რადგან შესდგება მეფის მოადგილის საბჭოს წევრების, სხვა და სხვა უწყების წარმომადგენელისა და არჩეულ კაცებისაგან. მთელი კავკასიის საერობო ერთეულის გამგეობის თავმჯდომარედ ითვლება მეფის მოადგილის საბჭოს წევრი, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი, ხოლო წევრებად არიან ერობის არჩეული პირები. მთელი კავკასიის ერთი საერობო ორგანიზაციის საჭიროებას იმით ასაბუთებს პროექტი, რომ ზოგიერთ გუბერნიას მცირე შემოსავალი აქვს და არ შეუძლია საკუთარის საშუალებით გაუძღვეს საერობო ხარჯებსო.

ასეთს მოულოდნელ და ჩვენი ქვეყნისთვის უვარგის პროექტს ზემოხსენებული გაზეთი ადარებს ამავე კანცელარიაში შემუშავებულს წინანდელ პროექტს:

ეხლანდელი პროექტით ნამდვილ საერობო ორგანიზაციას წარმოადგენს მარტო საუბნო ერობა, რომელიც მეტად ვიწრო ფარგლით არის შეზღუდული და მოკლებული იქნება საშუალებას გააკეთოს რამე თვალსაჩინო და საგულისხმიერო. ასეთი მცირე ერთეული, როგორიცაა ახალის პროექტის საბოქაულო (საუბნო) ერობა, რომელიც არ ემყარება უფრო ფართო და ღონიერს ერთეულებს, აუცილებლად გადაიქცევა, ფაქტიურ, საქმიანობას მოკლებულ დაწესებულებად. ხოლო კავკასიის საერთო საერობო ორგანიზაციას, რომლის წევრების თითქმის ერთი ნახევარი მოჯელეებისაგან შესდგება და სადაც გამჯერების თანასწორი მთავრობის წარმომადგენელი, არაფერი არა აქვს საერთო თვითმართველობასთან...

კავკასია და კერძოდ საქართველო დიდი ხანია დაჟინებით მოითხოვს ფართო საერობო თვითმართველობას. ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ წარმატებისათვის აუცილებელია ერობა და მოსალოდნელი იყო, რომ უმაღლესი ადმინისტრაცია შეიგნებდა ამ აუცილებლობას და შეიმუშავებდა ისეთს ერობის გეგმას, რომელიც შეეფერება ქვეყნის მოთხოვნილებას, რომელიც გზას გაუხსნის საზოგადოების თვითმოქმედებას. მაგრამ სამწუხაროდ ის პროექტი, რომელიც ჩვენ წინ არის, არა თუ არ ემზგავსება 1864 წლის საერობო დებულებას, არც 1890 წლის ერობას, არამედ გაცილებით დაბლა დგას დასავლეთ მხარეში სტოლიპინის მიერ შემოღებულ ნახევრად ბიუროკრატიულ ერობაზედაც და საერთოდ არც კი შეიცავს რასმე ერობის მსგავსს.

ვფიქრობთ, რომ სახელმწიფო საათაბიროც, რაც უნდა უვარგისი იყოს, არ დაადასტურებს და მხარს არ დაუჭერს ყოვლად შეუფერებელს პროექტს...

ამ საკითხს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით. ჯერ-ჯერობით მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ განზრახული რეფორმა ერობა კი არ არის, არამედ გართულება და დაწესებაა ახალ და ზედმეტ ბიუროკრატიულ მანქანისა. შექმნა მეფის მოადგილის კანცელარიის ახალ განყოფილებისა არავის არ დააკმაყოფილებს, და ჩვენც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კავკასიის დეპუტატები ასეთს ერობას გზას არ მისცემენ და თვითონ შეადგენენ ახალ პროექტს.

* * *

ქუთათურ „იმერეთში“ დაბეჭდილია წერილი ვ. წერეთლისა შესახებ კ. ჩხეიძის სიტყვისა. ბ-ნი წერეთელი სწერს:

წავიკითხე სატახტო გაზეთებში კარლო ჩხეიძის სადეკლარაციო სიტყვა და კიდევ უფრო დავრწმუნდი. რომ საქართველოს დეპუტატი არა ჰყავს.

მართალია, კ. ჩხეიძის სიტყვა საინტერესოა, ბევრს ღირს-შესანიშნავ ფაქტს ეხება, და რაცა სთქვა, უთუოდ უნდა აღნიშნულიყო, მაგრამ ის ლაპარაკობდა არა როგორც საქრთველოსი, არამედ როგორც საერთოდ მთელი რუსეთის წარმომადგენელი.

ამგვარი სიტყვა მილიუკოვს, კერენსკის ან რომელსამე მის რუს ამხანაგს უფრო შეეფერებოდა. ვფიქრობ, რომ ეროვნებათა წარმომადგენლების წინადადების შემუშავებაში არც მან მიიღო მონაწილეობა, გვაძლევს ნებას ვიფიქროთ, რომ მისი ჯგუფური მდგომარეობის გამო არც ა. ჩხენკელს უნდა ეწოდებოდეს საქართველოს წარმომადგენელი.

დიახ! ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ საქართველოს სათათბიროში დეპუტატი არა ჰყავს!

სახელმწიფო სათათბირო

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

(შემდეგი)

კერენსკი აცხადებს, რომ მშრომელთა ჯგუფი წინააღმდეგი იქმნებიან მემარჯვენეთა მიერ კომისიის დაარსების შესახებ. მას მაინც დემაგოგიად სთვლიან. ეკონომიურ ცხოვრებაში შეუძლებელია ეროვნული იძულება, ძალდატანება, იქ მხოლოდ ეკონომიური ბრძოლა შეიძლება. ბრძოლა კლასების. ამის დასამტკიცებლად ორატორს მოჰყავს ორ თებერვლის კანონი, რომელითაც ისარგებლეს და გერმანელ გლეხებს წაართვეს მამული. აზნაურთა მიწებს კი იგივე კანონი ხელს არ ახლებს. გერმანელ გლეხების გადმოსახლება, ახალშენების გაშენება და ცარიელა ადგილების დასახლება ეკატერინე დიდის სურვილისაებრ მოხდა. და აი, როდესაც ამ გადმოსახლებულებმა

შეჰქმნეს კულტურა, როდესაც მწირი მიწა ნაყოფიერად აქციეს, ეხლა მათ მიუსიეს რუსი გლეხობა და მთავარი მტერი დაავიწყებინეს. პირველი სათათბიროს დათხოვნა ბერლინის ზედგავლენით მოხდა, ხოლო სტოლიპინმა მოსპო რუს გლეხთა ყოფა-ცხოვრება და შემოიტანა გერმანული სული და გერმანული წესრიგი. ორატორს მოჰყავს ციტატები 1906 წ. გაზეთებიდან და ამტკიცებს, თუ რუსეთის მთავრობამ გერმანეთის მთავრობასთან შეთანხმებით როგორ ჩაახრჩო რევოლიუციის ცეცხლი. მემარჯვენენი, ვინც კომისიის დაარსების პროექტს ადგენენ, ომის დაწყებამდე გერმანიის მხარეს იჭერდნენ და ინგლის კი წინააღმდეგობას უცხადებდნენ. გერმანელებს ღიდი გავლენა ჰქონდათ ჩვენს მთავრობაზე. ასე მაგალითად, პლეევს საჯაროდ სთვლიდა გერმანელებთან სავაჭრო ხელშეკრულობის პირობები შეესუბუქებინათ მათ სასარგებლოდ, რადგანაც ბერლინის მთავრობა ფრიად ყურადღებით ეპყრობოდა შინაგან საქმეთა მინისტრს. ტემა გერმანელთა ძალდატანებაზე ფრიად საშიშია იმათთვის, ვისაც მემარჯვენენი ემსახურებიან. როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგ ჯუნკოვსკის აწსნას შეეხო. კერენსკიმ განაცხადა, საჭიროდ არ ვთვლი პასუხს, რაკიღა მინისტრები პასუხის მგებლობისგან განთავისუფლებული არიანო. ოღონდ შეკითხვა შეაქვს, რატომ მოხდა, რომ პროცესი გერმანელთა ფლოტის სასარგებლოდ ფულის შეგროვების შესახებ მოულოდნელად შესწყვიტესო!

შემდეგ მორიგ საკითხად აღიძრა ებრაელთა საკითხი. **ჩხეიძე** მხარს უჭერს დაჩქარებულ იქნეს ამ საკითხის განხილვა, განსაკუთრებით ამ კრიტიკულ მომენტში, როდესაც მთავრობა ყოველისფერს ებრაელთა უუფლებობას ახვევს თავზეო. იგი წინადაც და დღესაც ყოველისფერს ებრაელებს აბრალებს. მათ სთვლის მოღალატეებად, გამყიდველებად. მაგრამ რომელი კანონის ძალით მთელი ხალხი უნდა პასუხს აგებდეს თუნდაც ზოგიერთა მძიმე დამნაშავე გამოვიდეს მათს მოდგმაშიო!

ძიძუბინსკი მხარს უჭერს საკითხის სწრაფგანხილვას, მითუმეტეს დღეს როდესაც მთელი ხალხი მოღალატედ არის გამოცხადებული და სასტიკად ეპყრობიან, აუწერელ შეურაცხყოფას აყენებენ, სდევნიანო. ჯერ-ჯერობით ციხეში 400 ებრაელი მძევალი მოიპოვება, რომელნიც ფრიად პატივცემულ ებრაელთა ოჯახებიდან მოუკრებიათ. სწრაფი განხილვა არ იქმნა შეწყნარებული, მხარი დაუჭირეს მხოლოდ ჩხეიძის წინადადებას, რომ თრი კვირის განმავლობაში შესდგეს კომისია, რომელსაც დაევალება საკითხის გამორკვევა და შესაფერ მოხსენების შედგენა.

კამათი სწარმოებს გერმანელთა ძალმომრეობის წინააღმდეგ საბრძოლველ კომისიის შედგენის გამო. მაინდორფი გაკვირვებულია შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, რომ მას გერმანულ გვარების მქონე პირებზე დასჭირდა ლაპარაკი. ორატორი არწმუნებს მინისტრს, რომ ბალტიის მხრის გერმანელები ამაში არავითარ უბედურებას არ ჰხედავენ, მაგრამ მათ იციან, რომ ამ ჟამად მთავრობას ვითომც არ შეეძლოს დაიცვას სრულიად უსაბუთო ეჭვისგან. ხვოსტოვის სიტყვას იმდენად თანავუგრძნობ, რამდენადაც კომისიის დაარსებით მოისპობა სახელმწიფოში თვითნებობით განსჯანი. მაინც ბარონ მაიენდორფი ამბობს, რომ ხვოსტოვის სიტყვაში იმდენი უბედურობა იყო ჩამოთვლილი, რომ მართლაც შებრალებას იწვევს და ისე ნათლად დახატა შიში და განსაცდელი რომ მას ხვოსტოვი არა რუსეთის გარედ ჰხედავს, არამედ რუსეთის შუა გულში. მანსირევის საბუთებს ორატორი უსაფუძვლოდ სთვლის და გაახსენებს იმ დროს, როდესაც მისი ამორჩევის დროს ყველა ერების ინტერესის დაცვას თავს იდებდა. ორატორი ვრცლად ეხება სხვა და სხვა ბალტიის მხრის გერმანელთა ბრალდებას, აცხადებს, რომ ნაწილი იმ მხარისა გერმანელებისაგან დაპყრობილია და ისინი სასტიკად ასამართლებენო. ორატორი მოუწოდებს წინდახედულობა იქონიონ და ყოველგვარ ცილისწამებას ყურადღება არ მიაქციონ (ტაში მარცხნივ).

კრასოვი გლეხთა ჯგუფის სახელით აცხადებს, რომ გლეხები ხმას მისცემენ კომისიის შედგენას. გლეხებს ესაჭიროებათ მიწა, გერმანელებს კი 2755000 დესეტინა უჭირავთ. გლეხების აზრით, ყველა სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი უნდა ჩამოერთვას გერმანელებს. გარდა ამისა გერმანელები გამორიცხულ უნდა იქმნენ ყველა თანამდებობიდან. გერმანელების ძალმომრეობიდან გლეხების განთავისუფლებას ისეთივე მნიშვნელობას აძლევენ, რა მნიშვნელობასაც 1861 წლის გლეხების განთავისუფლებას.

ვერშინინი აცხადებს, რომ შრომის ჯგუფი მხარს დაუჭერს სიძვირის წინააღმდეგ მებრძოლ კომისიას. შრომის ჯგუფის აზრით სიძვირის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭიროა საზოგადო პოლიტიკური ამნისტია, ეროვნებათა უფლებრივი გათანასწორება, თავისუფლება ორგანიზაცია-კავშირებისა, ბეჭდვისა და სიტყვის და პასუხისმგებლობა მინისტრების ხალხის წარმომადგენლების წინაშე.

ყარაულოვი აღნიშნავს გერმანელთა ბოროტმოქმედებას რუსეთში, და საჭიროდ მიაჩნია საგანგებო კომისიის შექმნა, რომელიც გამოიძიებს საყურადღებო საკითხებს და შეამოწმებს პუტილოვის ქარხნის შესახებ გავრცელებულ ხმებს; რომელიც გამოარკვევს, თუ მაოთლაც განზრახ შეასუსტეს ზოგი ქარხანა-ზავოდის საწარმოო ძლიერება და გამოიკვლევს უკანასკნელ დროის ცეცხლის მიზეზებს; რომელიც წინ წაწევს გერმანელთა ფირმების სეკვესტრის და მტარვალ სახელმწიფოთა ქვეშევრდომების გადაგზავნის საკითხს. ორატორი იმასაც აღნიშნავს, რომ ყაზახებზე ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს ის გარემოება, ყაზახთა პოლკის და ხშირად მთელი ყაზახთა ჯარის უფროსებად გერმანული გვარის მექონი გენერლები არიანო.

(დასასრული იქნება)

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ჩვენი გაზეთისა შაბათს, 8 აგვისტოს.

ახალი ამბავი

საერობო რეფორმები საქართველოში. 4 ავგისტოს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში, თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილის თავჯდომაარეობით, თავად-აზნაურთა მარშლებისა და დეპუტატთა კრება იყო, რომელზედაც მიწვეული იყვენ გარეშენიც. კრების საგანი იყო თათბირი საქართველოში საერობო რეფორმების შესახებ. კრებამ აირჩია ბიურო, რომელმაც ხსენებულ საგნის შესახებ მოხსენება უნდა შეადგინოს წარსადგენად მეფის მოადგილის, სახელმწიფო სათათბიროსა და საბჭოს თავჯდომარეებისა და საკანონმდებლო დაწესებულებათა ფრაქციების თავჯდომარეებისთვის. მოხსენება არ უნდა გადაშორდეს უკვე აღნიშნულ ფარგლებს, ე. ი. უნდა მოთხოვნილ იქმნას ერობა 1892 წლის დებულების თანახმად შესაფერისი ცვლილებებით ადგილობრივ პირობათა მიხედვით. ბიუროს თავჯდომარედ არჩეულია გ. დ. ჟურული, ხოლო წევრებად—ი. ი. ზურაბიშვილი, ექიმი ს. ს. ვირსალაძე, პ. გედევანიშვილი და ფ. გოგიჩაიშვილი.

საარჩევნო სიები. თბილისის ქალაქის ხმოსანთა საარჩევნო სიები უკვე იბეჭდება, 2—3 კვირაში იგი მზად იქნება და გამოცხადდება ამომრჩეველთა საყურადღებოდ.

ფოსტის განყოფილება. სოფ. ხულოს (აჭარა) გაიხსნა ფოსტის განყოფილება. კვირაში ორჯელ მიდის ფოსტა, მიაქვს მხოლოდ წერილები.

თათბირი მაბეზღარას შესახებ. 4 აგვისტოს ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს თათბირი ჰქონდა საქალაქო სამსახურში ნამყოფ ვიღაც კამალოვის შესახებ, რომელსაც თვისებად ჰქონია მახლობლების დაბეზღება უფროსთან, თუმცა ის ამ მაბეზღარობისათვის არავითარ სასყიდელს არ ღებულობდა. კომიტეტმა დაადგინა ისევ იქმნას მიღებული სამსახურში ბ-ნი კაბალოვი.

ქალაქის კასა. მიწდინარე აგვისტოს პირველ რიცხვამდე შემოსულა ქალაქის კასაში მამულების დასაფასებელი გადასახადი 704.860 მან.; წარსულ წელში იმავე დროს იყო შემოსული 568.578 მან.

ჟურნალ-გაზეთის გაწერა. ქ. შ წ. კ. გ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ მისწერა საზოგადოების განყოფილებებს, რომ ამიერიდან თქვენი წიგნთსაცავ-სამკითხველოებისათვის ყველა მიმართულების ქართული ჟურნალ გაზეთი გამოიწერეთო.

4 ივლისს სხდომა ჰქონდა ქალაქის გამგეობას, რომელმაც დაადგინა საბჭო მოიწვიოს 20—26 რიცხვებში.

განყოფილების გახსნა. არმავირში (თერგის ოლქი) იხსნება ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების განყოფილება.

გამოქცეულ სომხების დახმარება. მ. არამიანცმა 2,000 მანეთი გაუგზავნა ეჩმიაძინში სომხების კათალიკოზს გამოქცეულ სომხების სასარგებლოდ.—4 აგვისტოს თათბირი ჰქონდა სომხების ცენტრალ კომიტეტს, რომელმაც მრავალი ღონისძიებანი აღნიშნა გადმოხვეწილთა დასახმარებლად.

სანიტარული წესების დაცვა. ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ა. მ. არღუთინსკიმ ქალაქი დაათვალიერა და სანიტარული წეს-რიგი ბევრგან დარღვეული აღმოჩნდა. ამის გამო თავ. არღუთინსკიმ სასტიკი ბრძანებით მიმართა ქალაქის აგენტებს, სავაჭრო-სამრეწველო ზედამხედველებთ, ბაზრის მეთვალყურეთ, სანიტარებს და სხ. იმის შესახებ, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ქალაქის სისუფთავეს და შემდეგში არსად არ აღმოჩნდეს სანიტარული წესები დარღვეული, თორემ თითონ აგებენ პასუხს ქალიქის გამგეობის წინაშე.

მადლობის გამოცხადება. პეტროგრადის პოლიტეხნიკუმის სტუდენტ-სანიტართა საბიბლიოთეკო კომისია წერილობითი მადალობას უძღვნის ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას წითელ ჯვრის ლაზარეთში (№ 1) მყოფ დაჭრილ ქართველ ჯარის კაცთა სახელით, რომელთათვის გამგეობამ უფასოდ გაუგზავნა ქართული წიგნები წასაკითხად.

წიგნის მაღაზია სოფლად. თამარა თარხნიშვილისას განუზრახავს ქართული წიგნების მაღაზია დაარსოს სოფ. ახალქალაქს.

სამოსწავლო სახელმძღვანელოების გაგზავნა. ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, ხულოს (აჭარა) სკოლის მასწავლებელს იოსებ მელიქიშვილს გაეგზავნოს ქართული სახელმძღვანელო წიგნები და რვეულები უფასოდ დასარიგებლად ქართველ მაჰმადიანთა შორის.

მოგზაურობა შავშეთში. როგორც გავიგეთ, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბათომის განყოფილების წევრნი ს. მდივანი და გ. ანჯაფარიძე ამ დღეებში შავშეთს მიემგზავრებიან სიმინდისა და ფულის დასარიგებლად დამშეულთა შორის.

წარმოდგენა ყვირილაში. ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ გამართული იქნება წარმოდგენა ბენეფისი მარკოზ ჭანკვეტაძის 15 წლის სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავად. წარმოდგენილი იქნება „ციმბირელი“. კომედია აქ. ცაგარლისა.

ქართულ რუსული კონცერტი. ვ. სარაჯიშვილის მონაწილეობით დღეს ხუთშაბათს 6 აგვისტოს გაიმართება კონცერტი ხარფუხის კლუბში. მონაწილეობას მიიღებენ: ქალბატონი ნემეტი, ნ. ერისთავი და სხვები. კონცერტზე შემოსვლა უფასოა. დასაწყისი 9 საათზე.

რწმუნებულთა ჩამოსვლა. გუშინ, 5 ავგისტოს, თბილისში ჩამოვიდა მთელი რუსეთის ქალაქთა კავშირის რწმუნებული, მოსკოვის ქალაქის გამგეობის წევრი ბ-ნი კიშკინი, რომელსაც დავალებული აქვს დათვალიერება კავშირის დაწესებულებათა თბილისისა და მთელ ამიერ კავკასიაში. ბ-ნი კიშკინი, თბილისის ქალაქის მოურავის მოადგილის თავ. ა. მ. არღუთინსკის თანხლებით, გუშინვე შეუდგა კავშირის ლაზარეთების დათვალიერებას.

ეჩმიაძინიდან „კავ. სლოვოს“ ატყობინებენ სომეხთ გამოქცეულთა უბედურობას. ამ ჟამად გამოქცეულთა რიცხვის აღნიშვნა ძალიან ძნელია. გუბერნატორ არამის დაახლოვებითი აღწერით ვანის მხარეს 203000 კაცი ყოფილა გამოქცეული, ხოლო მელიაზგერთის მხარეს—60 ათასიაო.

წმ. სტანისლავის პირველ ხარისხით და ხმლით დაჯილდოვებულ იქნენ: გიორგი არჯევანიძე, ათანასი შირაია, ბეჟან ხერხეულიძე, თ-დი გიორგი მაყაშვილი, ლევან ქურციკიძე, გერასიმე ლაკირბაია.

ომში მოკლულნი, დაჭრილნი და უკვალოდ დაკარგულნი: საბა ასლანის ძე **ბორძაშვილი** (პრაპ.) მოკლულია, ივანე არჩილის ძე **ანჯაფარიძე** (პოდპორ.) დაჭრილია, თედორე ვალ. ძე **გრუზინსკი** (პრაპ.) უკვ დაკარგულია.

დაჯილდოვებულ იქნენ: მე-4 ხარისხის სისხლის ჯვრით ზედ წარწერით „სიმამაცისათვის“ (პორუჩიკები) მიხელი **ფარეიშვილი** და ნიკოლოზი **ლამბაშიძე.** მე-3 ხარისხის წმ. სტანისლავით ბანტით და მახვილითი პრაპორჩიკი კანსტანტინე **ლომინაძე** ვერცხლის მედლით სტანისლავის ლენტზე სანიტარი ალექსანდრე **მაჭარაძე.**

გადამდები სენი. 5 ავგისტოს ქალაქის თავშესაფარში იწვნენ: ქუნთრუშიანი 26, ხუნაგიანი 17, ყვავილიანი 2, საოფლიანი 17 და მუცელაიანი 5 კაცი.

სურსათი. 4 ავგისტოს მოტანილი იყო თბილისში: ფქვილი 13 ვაგ., ქერი 6 ვაგ., სიმინდი 2 ვაგ., შაქარი 5 ვაგ., საზამთრო 5 ვაგ., ქვის ნახშირი 2 ვაგ., რკინეულობა 1 ვაგ., ყინული 1 ვაგ., სპირტი 2 ვაგ., ბრინჯი 130 ფუთი, კარტოფილი 62 ფ., ბაკლაჟანი 580 ფ., კარაქი 153 ფ., ყველი 106 ფ., კვერცხი 73 ფ., ქათმები 60 ფ., ახალი თევზი 158 ფ., ცხვრის ტყავები 391 ფუთი.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის 61 ნომერში დეკანოზის კ. კეკელიძის წერილში დაბეჭდილია: ის „ბებერ ლომივით“ მხოლოდ დარწმუნებულა, უნდა იყოს: ის „ბებერ ლომივით“ მხოლოდ დასნეულებულა; დაბეჭდილია: „დანთებულ სანთელს შუქი გაჰფანტავს... უნდა იყოს: „დანთებულ სანთელს“; ამ სანთლის შუქი გაჰფანტავს...

ღია წერილი

ქართულ საზოგადოების მიმართ

ვის არ მოეხსენება ჩვენი მწერლების ხელ-მოკლე, გაჭირვებული ცხოვრება. მათი ნიჭი და ღვაწლი სიტყვით თუ ფასდება ჩვენში, თორემ საქმით ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე ჩვენი მწერლის ცხოვრება ღირსეულად მოგვეწყო, უზრუნველი გვეყო.

რომელსაც ჯანი შესწევს მოხელეობის მძიმე უღელში შებმულა და ეწევა ჭაპან-წყვეტით უგემურ ცხოვრებას, ან რედაქციებში მძიმე და პასუხ-საგებელ საქმეს ჰკიდებენ ხელს მცირე ფასში და ძლივს-ძლივობით ითქვამენ სულს.

კარგია თუ ჯანის სისაღე შეჰყვა ბოლომდის და უდროვოდ არ გაამწარა იგი და არ ჩააგდო ლოგინად. ჩვენდა სამწუხაროდ, ხშირად ხდება ხოლმე, რომ როცა მწერლის შემოქმედება ლამობს უფრო მძლავრად და ფართოთ გაშალოს ფრთები, თითქოს განგებ, მაშინ ირყევა მწერლის ჯანმრთელობა და დასუსტებული, დაავადებული, ცხოვრების სახსარს მოკლებული მწერალი, ხდება საზოგადოების გულ-შემატკივრობის ამარა.

მართალია ჩვენი საზოგადოება დიდ თანაგრძნობას იჩენს ავათ-მყოფ მწერლის მიმართ დახმარებასაც უწევს მას, მაგრამ ეს დახმარება ერთ-დროულია, ხან-მოკლეა. დასნეულებულ ადამიანს კი საჭიროა მუდმივი, სისტემატიური დახმარება, მოვლა-პატრონობა.

მდგომარეობა დაავადებულ მწერლისა უფრო რთულდება, უფრო მძიმდება, როცა იგი შორდება თავის მეგობრებს, თუ ნაცნობებს და ავათმყოფობისა გამო ბინავდება სოფლად რომელიმე ჩვენებურ აგარაკზე.

ტურფაა, წარმტაცია ბუნება ჩვენი აგარაკებისა; საამურია, გამაცოცხლებელი. მათი ჰავა, ანკარა წყაროები, მაგრამ დავადებულ ადამიანის გამოსაბრუნებლად, განსაკურნებლად მარტო ეს პირობები არა კმარა, საჭიროა კარგი მოვლა და უმთავრესად **კარგი და შესაფერისად მოწყობილი სადგომი—ბინა;** უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი აგარაკი წაღვერი, ცემი, ბაკურიანი და სხვები ძალიან კოჭლობენ ამ მხრივ. პატარა, გალიის მსგავსი ოთახი, დაბალი ჭერით და ფარღალა კედლებით, რომლებშიაც თავისუფლად გაჰჭრის ნიავი ცუდი და უიმედო სადგომია ყველა ავათ-მყოფისათვის, მეტადრე ფილტვებ დაზიანებულ ადამიანისათვის, ამისთანა ოთახში იძულებული იყო ეცხოვრა წაღვერში ნეტარხსენებულ არჩილ ჯორჯაძეს, ამასთანავე ოთახში სცხოვრობს დღეს ჩვენი მგოსანი ევდოშვილი და სხვანი, ჩვენი მწერლები, რომელთაც გარემოება ნებას აძლევთ მცირე ხნით იცხოვრონ ჩვენ აგარაკებზე და დაასვენონ თავიანთი მოღლილი ჯანი.

ამიტომ ვფიქრობ, რომ აუცილებლივ საჭიროა გაუჩინოთ ჩვენ დასუსტებულ და დაავადებულ მწერლებს მუდმივი და ყოველ-მხრივ მოწყობილი სადგომი—ბინა, რომ შესაძლებელი გახდეს მათი, მწერლების, აგარაკში ცხოვრება დიდი ხნით და ყოველ დროს.

ჯერ-ჯერობით, ჩემის აზრით, საკმარისია რომელიმე აგარაკში ექიმების ამორჩევით ავაშენოთ 5—6 ოთახიანი სახლი, რომელსაც შემდეგ შეძლების და გვარად, გავადიდებთ, გავაფართოვებთ. ამისთანა სასახლის აგება, მაგალითად წაღვერში, დაჯდება ორას ორმოცდაათი თუმანი (2500 მ.), რომლის გამოღება ჩვენ საზოგადოებას არ გაუჭირდება, თუ რომ რომელიმე ჩვენი კულტურული საზოგათოება გაუწევენ თაოსნობას ამ საქმეს.

მე, ჩემის მხრით ამ მომავალ სასახლის ასაშენებლად ვწირავ ჩემს წვლილს ათ თუმანს და ვპირდები ყოველივე დახმარებას, რითაც კი შევიძლებ.

მ. მურვანიშვილი.

ეკლესიის ცხოვრებიდგან

უწმინდესი სინოდის „უქაზით“ 1912 წელს ეპარქიის მღვდელმთავრებს ებრძანათ, რათა მოეხდინათ სავალდებულო განკარგულიბა, რომ ეკლესიათა კრებულთ მეტრიკულ წიგნებში იმ ხაზში, სადაც იწერება სახელი დაბადებულთა, მონათვლის დროს მიემატებიათ „სახელი ეწოდა ამა და ამ წმინდანის პატივის საცემად, რომელსაც წმ. ეკლესია დღესასწაულობს ამა და ამ რიცხვს და თვეს“.

ხსენებულმა „უქაზმა“ რასაკვირველია, ჩვენამდეც მოაღწია და ერთგვარი უხერხულება შექმნა. მღვდლებისა და მრევლის შორის მან დაბადა თვალსაჩინო უკმაყოფილება. საქმე ისაა, რომ მსოფლიო ეკლესიის კალენდარში, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ მღვდლები აღნიშნულ „უქაზის“ ძალით, არ მოიპოვება ქართული ნაციონალი სახელები.

რამდენ უსიამოვნებას იწვევს ნათლია და მშობლებ შორის, როდესაც მოძღვარი უარს უცხადებს, მათ და მათ მიერ არჩეულ სახელს არ არქმევს ბავშვს! გულნატკენი მშობლები ეუბნებიან მოძღვარს: „განა ჩვენი ძველები ქრისტიანები არ იყვნენ, რომ ამ სახელს ატარებდნენ? მოძღვარი უმტკიცებს, რომ წმინდანებთა სიაში ესა და ეს სახელი არ სწერიაო. ხშირად მოძღვარიც გაეჭვებულია, მაგრამ „უქაზს“ გვერდს ვერ უვლის. ისეთი სახელები როგორიც არის: ვახუშტი, ვახტანგი, იორამ, და სხვა ძვირად და სულაც აღარ ერქმევა მონათლულთ. აი ამ გაჭირვების თავის დასაღწევად მ. ს. მჭედლიძემ სამღვდელოებას მიაწოდა მისი გამოცემა—წიგნაკი წმინდანების სახელებისა. მე მ. მჭედლი-

ძის წიგნაკს კრიტიკას კიარ უკეთებ, მაგრამ არ შემიძლია არ შეევნიშნო შემდეგი: მაგალითად ავიღოთ სახელი ვახტანგი: მას, როგორც სჩანს, მეორე ხარისხოვან სახელად მიუმჩნევია,—უჩვენებია სახელი **ვახტისი** და გვერდით ფრჩხილებში ჩაჩინჩია აქვს ვახტანგი; სახელ ვახტანგს, არა მგონია, ასე შიშ-კალიფით მოხსენიება შეჰფეროდეს ჩვენგან! რამდენი სხვა ქართველის სახელებია გამოტოვებული! სადღაა სახელები როსტომ, ზურაბ, თეიმურაზ, ქაიხოსრო, მანუჩარ, გურამ, იორამ, მერაბ, სეხნია, ოტია, გაიოზ და სხვა ბევრი, რომელთაც ატარებდნენ გვირგვინოსანი ქართველთ მეფენი და ქათალიკოსნი; ნუ თუ იმ „უქაზის“ ძალით უნდა უარვყოთ ზემოხსენებული სახელების დარქმევა? მე მგონი რომ ჩვენებური სახელების წოდება არ გვეკრძალება, მხოლოდ გაუგებრობა კი გვიშლის ხელს. არ კმარა მარტო ვიხელმძღვანელოთ მ. მჭედლიძის წიგნაკით, რომლის უმთავრესი წყარო კონდაკი და რუსული „Крестный“ კალენდარია. მარტო ამით შეფარგვლა სახელებისა არ კმარა, არამედ საჭიროა უფრო ვრცელი წყაროები, როგორიც არის ძველი თევნი და სხვა, თორემ ასე ადვილად არა მგონი რომ ქართველი ერი გამოეთხოვოს ისეთ შეჩვეულ სახელებს, რომელნიც მის ყურს სმენია და საუკუნოებით შეუთვისებია. საჭიროა ამას ახლავე მიეწყოს ყურადღება და მცოდნე პირებისაგან გამოიცეს ვრცელი სახელმძღვანელო წმინდანების სახელთა (რასაკვირველია ქართველთა) ახლა იმისთვის ვამბობ, რომ ქართველი ეროვნული თვითცნობიერება თანდათან იღვიძებს და შემდეგში უფრო არ გვეპატიება. შეიძლება ზოგიერთმა იფიქროს, სახელი რაც უნდა იყოს სულ ერთიაო, მაგრამ მერწმუნეთ, რომ ამასაც აქვს თავისი ეროვნული მნიშვნელობა და არ მოხდება ის, რაც მოხდა აღმოსავლეთ საქაროველოში მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ყველა ცდილობდა როგორმე თავის გვარისთვის „შვილის“ მაგიერ „ოვ“ მიემატებია.

ხსენებულ „უქაზის“ შემდეგ ბევრი სახელია უარყოფილი; ავიღოთ თუნდ თეიმურაზი, ბევრი და ყველანიც მგონი მამები არ უწოდებდენ ამ სახელს აქამდე, მაგრამ როდესაც ეს სახელი ეწოდა ერთ მაღალ პირის ძეს და ისეც პეტროგრადში შეიქნა ძებნა, არის ეს სახელი წმინდანის თუ არა,—ძიებამ და კვლევამ არ ჩაიარა უნაყოფოდ, რაიც განმარტა მ. არქიმადრიტმა ნაზარიმ (იხილე საეგზარხოსო მოამბე № 5, 1915 წ.) აღმოჩნდა, რომ თეიმურაზი ყოფილა „გონიერი არსება“ სპარსულად, რუსული—разумникъ და ბერძნული სინეზი—სინეთოს; ასეთივე განმარტებას თხოულობს ბევრი სხვა სახელები, ჩვენში პატივცემულთ და საუკუნოებით შემოღებული. ავიღოთ კიდევ შეორე სახელი **გაიოზი**, რომელსაც ვერ შეხვდები ვერც მამა მჭედლიძის წიგნაკში და ვერც კონდაკში*), მაგრამ ქართული ეკლესია კი იხსენიებს ამ წმინდანს წლის განმავლობაში ოთხჯერ 23 ივნის, 11 აგვისტოს, 21 ოქტომბერს და 5 ნოემბერს. მაშ საჭიროა მამებმა მიაქციონ ყურადღება ასეთ შემთხვევებს და უბრალო ჟინით არ უარყონ კეთილი სურვილი იმ მშობლებისა, რომელთაც ჰსურთ უწოდონ ბავშვებს თავის წინაპართა სახელი**).

ს. დ—ძე.

*) გაიოზი ქართული სახელი კი არა, ბერძნული, რუსულად Гаій, ქართულად ეს სახელი შეუნახავთ ბერძნული დაბოლოებით. გაიოზი იყო ერთი სამოცდაათ მოციქულთაგანი, მას იხსენიებს პავლე მოციქული (რომ. 16, 23). **რედ.**

) საღვთისმსახურო და საზოგადოდ საეკლესიო წიგნებში მართლაც ბევრ „ქართულ“ სახელს ჩვენ ვერ ვპოულობთ და მღვდლების ბრალიც არაა, თუ აღნიშნული „უქაზი“ მათ ნებას არ აძლევს ამ სახელების დარქმევისას. ჩვენის აზრით საჭირო არაა ამის გამო მღვდელსა და მრევლს შორის დამოკიდებულება გამწვავდეს: ოფიციალ დოკუმენტებში ჩასწერონ რომელიმე ნებადართული სახელი, ისე კი, საშინაოდ, რომელი „ქართული“ სახელიც მოსწონდეთ, ის მიათვისონ ბავშვს. მით უმეტეს, რომ ბევრი ჩვენი ისტორიულნი პირნი, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ „ქართულ“ სახელით, ნამდვილად სულ სხვა „ნათლის სახელს“ ატარებდენ. **რედ.

სამგლოვიარო დეპეშები

მოსკოვი. მდაბლად ვიხრით თავს ჩვენს დიდებულს ვაჟას წინაშე. უკანასკნელიმც იქნებოდეს ეს ღვთისადმი შეწირული მსხვერპლი საქართველოს მოვალისათვის, რომლის ბრწყინვალებაც მას ხილვათ ხშირად მოჰვლინებია მთებში. ფშავნი კი, რომელთაც ჰშვენით აბჯარი, ნუ დაივიწყებენმცა უპატრონოდ დარჩენილს ხმალს ბაათურისას.

გრიგოლ ვეშაპელი და ტიტე ტაბიძე.

სამგლოვიარო დეპეშა. ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობას სამგლოვიარო დეპეშა მოუვიდა ნალჩიკელ ქართველობისაგან ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების გამო.

ჩვენი ცხოვრება

ძ. დუშეთი. კვირას, 26 ივლისს ქ. დუშეთის სამხედრო საკრებულოს დარბაზში, და ბაღში ადგილობრივ წ. კ. გ. ს. გამგეობამ გამართა წარმოდგენა სეირნობით, ღონის ძიებათა გასაძლიერებლად.

სეირნობა დაიწყო საღამოს 5 საათიდან, მთლად სასეირნო ბაღი მორთული იყო კოსკებით, ფარნებით და სხვა.

ღამის 10 საათიდან დაიწყო წარმოდგენა, სადაც მონაწილეობას იღებდა ჩვენი დამსახურებული მსახიობი ვასო აბაშიძე. დადგეს ვოდევილი 2 მოქმ. „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“ ერისთავისა, და „არც აქეთ, არც იქით“ 1 მოქმ. ვ. გუნიასი.

როგორც მოველოდით, ჩვენმა მსახიობმა ძრიელ აცინა საზოგადოება, განსაკუთრებით აქტიორის როლში, სადაც იგი თვისი მოხდენილ მანერებით, უსაზღვრო სიცილსა გვრიდა მაყურებლებს, რისთვისაც იყო რომ, ყოველ მის გამოსვლას, ტაშით და ვაშას ძახილით ეგებებოდა საზოგადოება. აქაური საზოგადოება პირველად ხედავს დუშეთის სცენაზედ, ჩვენს ნიჭიერს მსხიობს და ამისათვის დიდ-ძალმა ხალხმა მოიყარა თავი, ენახათ ვასოს მოხდენილი თამაში, და დამტკბარიყვნენ ამით.

კარგები იყვნენ: ბ. ვ. ბუთლიაშვილი (თბილისიდან მოსული). “აპოლონის“ როლში, ქალნი ს. ეპიტაშვილი „ელისაბედის“ როლში, დანარჩენებიც ანსაბლს ხელს უწყობდნენ.

საინტერესო იყო დივერტისმენტი, სადაც ლექსები იქნა წაკითხული, კარგად წაიკითხეს: ბ. ბუთლიაშვილმა თვისი ლექსი-პროზათ „სიყვარულის ტაძარი“ და გრიშაშვილის „ღამე ტყეში“ ხ. მაჩხაანელმა გრძნობით წაიკითხა ახოსპირელის ლექსი „ჩემი სიმღერა“ ბ. ა. ინაშვილმა, ევდოშვილის „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ტრიო იმღერეს ქალო. ნ. კანდელაკმა, ნ. ბერძნიშვილმა და გიორგობიანმა.

აღსანიშნავია ქალო. კობიაშვილის ურმული და ოროველა

დიდი მადლობის ღირსნი არიან, როგორც საღამოს დიასახლი ქ. ცაგარლისა, რომელმაც დიდი მონაწილეობა მიიღო საღამოს გამართვაში, აგრეთვე სხვა მონაწილენიც, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთ შრომა და ყოველ მხრით შეუწყეს ხელი როგორც სეირნობას, ისე წარმოდგენას. სასიამოვნო აღსანიშნავია ის მოვლენა, რომ აქაური საზოგადოება ყოველთვის დიდი ხალისით ესწრება წარმოდგენებს. ამ საღამომ როგორც უნდა მოველოდეთ კარგი შემოსავალი მისცა განყოფილებას. იმედია დაწვრილებით ანგარიშს, შემოსავალ-გასავლისა ვიხილებთ გაზეთის მახლობელ ნუმრებში.

დამსწრე.

დეპეშები

ნიუ-იორკი, 2 აგვისტო. გაზ. „პრო-ვიდანს“-ი სწერს: ვაშინგტონის მთავრობა ზომების მიღებას აპირებს იმის გამოსამჟღავნებლად, რომ გერმანეთის საელჩოს მოხელეებმა ამერიკის ნეიტრალიტეტი დაარღვიეს. ხმებია, გერმანეთის საიდუმლო პოლიციის აგენტს დოკუმენტები უპოვნეს, რომლითაც მტკიცდება, რომ გერმანეთის საელჩოს სამხედრო საზღვაო წარმომადგენელს კაპიტან როედს ყალბი პასპორტები უკეთებია ნიუ-იორკში და ჩრდილო-ამერიკის სხვა ქალაქებში; უპოვნიათ აგრეთვე იმ სათადარიგო აფიცერთა სია, რომლებიც ამ ყალბ პასპორტების შემწეობით ევროპაში დაბრუნებულან. სიის პირველ ადგილში კაპიტან ჰორნის გვარია ჩაწერილი, რომელიც ენსბეროს ხიდის აფეთქებას ეცადა. გაზეთი დასძენს: ამერიკის მთავრობას გაჩუმება აღარ შეუძლია, რადგან ცხადია დამამტკიცებელ საბუთებით, რომ გერმანებმა მოისყიდეს არა თუ მუშების მეთაურები, არამედ ბანკების დაწესებულებანიც შეერთებულ შტატებში და მექსიკაში შეთქმულობის და არეულობების მოსახდენად. ისინი სცდილობდნენ აეძულათ ამერიკის მთავრობაც ჩარეულიყო ბრიტანეთის სამხედრო გემების საწინააღმდეგო შეთქმულობაში.

ვაშინგტონი, 2 აგვისტო. ამერიკის ავსტრიისადმი ნოტა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გერმანეთი და ავსტრია-უნგრეთი სამხედრო მასალას აწვდიდა ინგლისს სამხრეთ-აფრიკის ომის დროს. მაშინ რომ ამ ორ სახელმწიფოს არ მიეყიდა ინგლისისათვის ასიათას ფუთობით ასაფეთქებელი ნივთიერებანი, თოფის წამალი, ტყვიები და იარაღი, ეხლა მათ მეტის საბუთით შეეძლოთ მოეთხოვათ ამერიკისაგან სასტიკ ნეიტრალიტეტის პრინციპების დაცვა.

ოტტავა, 3 აგვისტო. ინგლისმა კანადას დაუკვეთა 46 მილიონ თუმნის სამხედრო მასალა.

პეტროგრადი, 3 აგვისტო. გამოქვეყნდა ბაიაზიტოვის დანიშვნა ორენბურგის მუფთიად.

ათინა, 3 აგვ. მეფემ დაადასტურა გუნარისის კაბინეტის გადადგომა. ვენიზელოსი მეფესთან სათათბიროდ მიწვეულია.

ლონდონი, 3 აგვ. ოფიციალად იტყობინებიან, გერმანელთა წყალქვეშამ დილით ადრე რამდენიმე ყუმბარა ესროლა პარტანს, სარინგტონს და უაიტგვენს. (ეს ქალაქები ირლანდიის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირას მდებარეობს, კუნძულ მენის გამოსწვრივ). მატერიალი ზარალი არ არის. პარტანის ჩრდილოეთის რკინის გზას მოხვდა ყუმბარა და მცირე ხნით მიმოსვლა შეჩერდა. დანარჩენ ორ ქალაქში ცეცხლი გაჩნდა და მალე ჩაქრობილ იქმნა. ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.

პარიზი, 3 აგვისტო. სენატორი ებერი, რომელმაც ომის გამოცხადებამდე სენსაციური სიტყვა წარმოსთქვა სამხედრო ორგანიზაციის ნაკლის შესახებ, მიიწვიეს გაზეთ „ლე ჟურნალ“-ის მთავარ რედაქტორად.

სტოკჰოლმი, 4 აგვისტო. ბერლინიდან გვატყობინებენ, რომ ნაციონალლიბერალთა წარმომადგენლების ყრილობაზე ორი ხმის წინააღმდეგობით გადაწყდა ანექსიის მოთხოვნა. რეზოლიუციაში ნათქვამია: ომის დამთავრება შეიძლება მხოლოდ ისეთ ზავის ჩამოგდებით, რომელიც უზრუნველ ჰყოფს გერმანეთს ახალ თავდაცემისაგან. საჭიროა გერმანეთის საზღვრების გაფართოვება აღმოსავლეთითაც, დასავლეთითაც და სხვა მიმართულებითაც ზღვისკენ, რომ უზრუნველ. ყოფილი იყოს მხარე პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც. ამდენი მსხვერპლის შეწირვის საჭიროება შეიძლება გაამართლოს მხოლოდ ომის ბოლომდე მიყვანამ. წარმომადგენელნი და მთელი პარტიაც მომხრე იქნება ყოველნაირ მთავრობისა, რომელიც აღნიშნულ მიზნით აწარმოებს ომს.

პარიზი, 4 აგვისტო. საბრედრო სამინისტრო აცხადებს, რომ საფრანგეთს ჯერ არ დაუწყვია შხამიან ბოლის ხმარება.

შემოწირულობა

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1) რ. ყ. დათეშიძემ ა) ოქროს საყურე, ბრილიანტის პატარა ირემი და 310 ცალი კოლხური თეთრი ფული. 2) დიანოსი კალატოზიშვილმა ხელნაწერი წიგნი—სარკე თქმულთა. 3) მიხეილ კორძაიამ: ათანური ხელოვნური ხის ჯვარი. 4) მიხეილ ლობჯანიძემ: ორი ნაბეჭდი რუსული წიგნი:—„Плѣнники кавказа“ и „Такъ говорилъ Заратустра-Сынъ“. 5) ბლაღოჩინმა ალ. გულისაშვილმა: ხუცური ხელნაწერი სახარება, მახარობლების ოთხი ფერადებიანი სურათი, 6) სიო კალანდაძემ: ხელნაწერი წიგნები, სხვა და სხვა ნაწარმოებთა კრებული (1829 წ.). 7) მღვდელმა ალ. ჯავარიძემ: ისტორიულ ფაქტების ქრონოლოგია (გადმოგვცა დავით ყიფშიძემ). 8) კონსტანტინე იოსების ძემ აბდუშელიშვილმა: თექვსმეტი სხვა და სხვა საბუთი. 9) ბესარიონ ოქროპირის ძემ: ყვაილებიანი თითბრის ბეჭედი და თეთრი ფული აკლდამაში ნაპოვნი. 10) ერმ. ს კობახიძემ: ბ) მდინარე მუნჩიაში (ს. ხეთა) ნაპოვნი ქვა და გ) ბრინჯაოს ორპირიანი დანა (ნაპოვნია ს. ხეთას კურუმუღიას ციხეში). 11 იოსებ გოგოლაშვილმა: აია სოფიას კენჭები (წრომის ტაძრიდან). 12) დავით ბადილას ძემ ხუბულურმა: თეთრი ფული მუსულმანური.

საზოგადოების საბჭო გულითადს მადლობას უძღვნის შემომწირველებს.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „საქართველოს“ საშვალებით ნება მომცეთ უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ გრიშა ირაკ. შარაშიძეს, რომელმაც კეთილ ინება და მოკრიბა ბუკისციხის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს სასარგებლოდ თავის ნაცნობებსა და მეგობართა შორის წიგნები ღირებული 15 მანეთისა და ფულად 15 მანეთი და 40 კაპ, აგრეთვე მადლობას უცხადებთ შემომწირველებს, რომლებმაც არ დაიშურეს თავისი წვლილი ამ ჩვენ ღარიბ სამკითხველოსათვის. შემომწირველთა სია:

1) გედევან ბერიძე 1 მანეთი, 2) ელ. რევ. ყიფიანი 1 მანეთი, 3) თავ. ალექსანდრე კახთაბაშიძე 1 მანეთი, 4) ნოე დიანოსისძე ლეჟავა ფულად 1 მანეთი წიგნები ღირებული 5 მანეთისა, 5) გალაქტიონ იაშვილი 50 კაპ., 6) კოტე ე. ქარცივაძე 50 კაპ., 7) გიორგი ე. ქარცივაძე 40 კაპ., 8) ლავრენტი ბარკალაია 60 კაპ., 9) ეზეკი არჩ. ჩხიკვიშვილი 50 კაპ., 10) ვეფხო აკოფაშვილი გაზეთი „საქართველო“ ნახევარი წლით, 11) თათეოზ ჩაჩანიძე წიგნი ღირებული 2 მანეთისა, 12) გიორგი ს. ლომიძე 50 კაპ., 13) ლუკა ს. ბურდულაძე 20 კაპ., 14) პეტრე ქურხული 30 კაპ., 15) თავ. მიშა მაყაშვილი 50 კაპ., 16) ნოდარ ამაშუყელი 50 კაპ., 17) კნ. ელისაბედ ერისთავი 50 კაპ., 18) ე. ავალიშვილი 50 კაპ., 19) თავ. სამსონ დადიანი 50 კაპ., 20) პრასკოვია ნიკ. კაპ., 21) ვანო დარბაისელი 50 კაპ., 22) ირაკლი ყ. ხუნდაძე 1 მანეთი., 23) დავით მიხელის ძე ტურიშვილი 30 კაპ., 24) ალ. ანტონისძე წინამძღვრიშვილი 50 კაპ., 25) თავ. ზაქ. დ. ვაჩნაძე 50 კაპ., 26) დიმიტრი მენაბდიშვილი 40 კ., 37) კალისტრატე ფირცხალაშვილი წიგნები ღირებული 8 მანეთისა, 28) ილია გ. კობახიძე 30 კაპ., 29) ვიქტორ ბენდიანიშვილი 20 კაპ., 30) შალვა ი. კაჩახიძე 20 კაპ., 31) №№ 50 კაპ., 32) დ. ჭელიძე 30 კაპ., 34) ერემია ნუცუბიძე 20 კ., 34) ალექსანდრე იაშვილი 20 კაპ.

აგრეთვე უღრმეს მადლობას ვუცხადებთ ნიკო ივანესძე სიხარულიძეს, რომელმაც გამოუწერა ამავე სამკითხველოს ჟურნალი „ნაკადული“ ერთი წლით.

კარგი იქნება ამ საზოგადოების მცხოვრებნი სხვა და სხვა ქალაქებში მყოფნი მიჰბაძავდნენ ასეთ მაგალითს და ხელს შეუწყობდნენ ხალხის წინსვლა გონებრივ განვითარებას ჟურნალ-გაზეთების და წიგნების გზავნით, რითაც საშვალება გვექნება ვაარსებოთ ეს ფრიად სიმპატიური და კულტურული დაწესებულება.

ბუკისციხის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს დავალებით **დომენტი შარაშიძე.**

ჩვენი ფოსტა

ურბნელ ვასოს შეგვატყობინეთ თქვენი მისამართი. წერილი დაიბეჭდება.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან	8 ს.	13 წ.	დილ.
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	8 „	40 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	8 „	58 „	„
ვაზიანიდან	10 „	06 „	„
ივრიდან	21 „	15 „	„
საგარეჯოდან	11 „	58 „	„
ბადიაურიდან	12 „	56 „	„
ელაანიდან	2 ს.	16 წ.	საღ.
გურჯაანიდან	3 „	37 „	„
კარდენახიდან	4 „	12 „	„
წნორის-წყალზე	4 „	44 „	„

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან	3 ს.	42 წ.	საღ.
ვაჩნაძიანიდან	4 „	33 „	„
თელავში	5 „	27 „	„

თბილისიდან მოდის:

წნორის-წყლიდან	8 ს.	58 წ.	დილ.
კარდანახიდან	9 „	41 „	„
გურჯაანიდან	10 „	24 „	„
მელაანიდან	11 „	39 „	„
ბადიაურიდან	12 „	59 „	დღ.
საგარეჯოდან	2 „	80 „	„
ივრიდან	2 „	50 „	„
ვაზიანიდან	3 „	55 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	4 „	58 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	5 „	13 „	„
თბილისში,	5 „	28 „	„

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან	8 ს.	54 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	2 „	58 „	„
გურჯაანში	10 „	07 „	„

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან	12 ს.	54 წ.	დღ.
№ 4 ბათომიდან	5 ს.	55 წ.	საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს.	41 წ.	საღ.
№ 10 ბათომიდან.	9 ს.	51 წ.	დილ.
ჯულფიდან.	6 ს.	53 წ.	დილ.
ბორჯომიდან	7 ს.	25 წ.	დილ
„ საავარ.	10 ს.	28 წ.	საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ	1 ს.	45 წ.	დღ.
№ 4 ბაქოსკენ	7 ს.	3 წ.	საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს.	8 წ.	დღ.
№ 9 ბათომისკენ	8 ს.	53 წ.	საღ.
ჯულფისკენ	10 ს.	23 წ.	საღ.
ბორჯომისკენ	3 ს.	29 წ.	დღ.
„ საავარ.	8 ს.	28 წ.	დილ.

წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РѢЧЬ“).

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—27)

თევზის მრეწველნი

ძმ. მეგველლოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. ბაილოვის-შვით“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.

მსწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ.№ 5.